საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ევჟენტი

ევჟენტი, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ჩეკურაანთგორის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ქართლის ქედის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1200 მ, თიანეთიდან 15 კმ. 64 მცხ. (2002).

წყაროებში ე. პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში. 1579 კახეთის მეფე ალექსანდრემ სვეტიცხოველს დაუმტკიცა ძველად შეწირული სოფ. „ევჟეტი". 1865 ე. შედის თიანეთის ოლქის საყარაულოს სასოფლო თემში, სადაც 12 კომლი ცხოვრობდა. სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, დგას გვიანდ. შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყისა და ნატეხი ქვით.